პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 68 (10765) | ხუთშაბათი, 21 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ, 20 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომების პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი გ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

გუშინ, 20 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ადამიანებთან ერთად მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ. ისინი გამსჭვალული არიან მისწრაფებით ამრავლონ თავიანთი წვლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილებათა შესრულებაში, მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

დილის 11 საათია. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ვ. დ. კუპრაძე** და მისი მოადგილეები **ვ. დ. კოზაევი, ლ. კ. ნაზაძე.**

ლოჟებში ადგილებს იკავებენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს სსრ მინისტრები. აქ არიან **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ი. ფედიუნინსკი, პ. ვ. კოვანოვი, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაჭაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე.**

თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას გახსნილად აცხადებს. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ზ. ა. კვაჭაძეს.** იგი აცხადებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე სესიებს შორის გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგებს. ამ ხაზში გაიმართა არჩევნები ქალაქ თბილისის № 14 ნინოშვილის საარჩევნო ოლქში, ქალაქ თბილისის № 41 სტუდენტთა საარჩევნო ოლქში, თელავის სტალინის № 116 საქალაქო საარჩევნო ოლქში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად ამ ოლქებში არჩეული არიან ნ. ფ. პაპაკინი — გენერალ-პოლკოვნიკი, ვ. დ. გოძიაშვილი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პ. ვ. კოვანოვი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და სწორად ცნო ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებანი.

იღებენ სესიის მუშაობის შემდეგ დღის წესრიგს:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევა.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
5. ზოგიერთი ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

პირველ საკითხზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დილის სხდომა.

* * *

20 მარტის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ **ბ. ა. ჩხეიძის** მოხსენება საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თანამოხსენება საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ვ. ჭირაქაძემ.**

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ა. ე. მელაძე** (ზოდის საარჩევნო ოლქი, ჰიათურის რაიონი), **გ. ი. ბერულავა** (ნაბაკევის საარჩევნო ოლქი, გალის რაიონი). **ფ. დ. დუმბაძე** (სტალინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ბათუმი), **პ. ი. ჩხობაძე** (ქვედა საქარის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), **ა. მ. დავითაშვილი** (შაშიანის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), **მ. ფ. ორაგველიძე** (მერეის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი **გ. ს. ჯომარჯიძე.**

21 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია

20 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა კრემლში მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა.

დელეგაციას მეთაურობს უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იანოშ კადარი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 20 მარტს კრემლში მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია

20 მარტს ბუდაპეშტიდან „ტუ-104“ თვითმფრინავით მოსკოვში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იანოშ კადარი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი და მრეწველობის მინისტრი ანტალ აპრო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საგარეო საქმეთა მინისტრი იმრე ხორვატი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი და კულტურის მინისტრი დიულა კალაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი კაროი კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და თავდაცვის მინისტრი გეზა რევესი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იანოშ ბოლდოცკი, აგრეთვე ექსპერტები და მრჩევლები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე ასობით მოსკოველი.

უნგრელი ხალხის წარმომადგენლებს მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა.

ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და იანოშ კადარის გამოსვლას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები

(არჩევნების შესახებ ცნობები ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან).

1957 წლის 17 მარტს მოხდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნები მოხდა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობისას და ცხადყო მშრომელთა ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. არჩეული არიან მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთი საოლქო საბჭოს, 71 რაიონული საბჭოს, 33 საქალაქო საბჭოს, ქალაქ თბილისის 8 რაიონული საბჭოს, 940 სასოფლო საბჭოს და 34 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო:

	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი	
		აბსოლუტური ციფრით	პროცენტებით
საოლქო საბჭოში	56.126	56.126	100
რაიონულ საბჭოებში	1.678.031	1.677.976	99,99
საქალაქო საბჭოებში	1.013.745	1.013.630	99,99
ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებში	489.437	489.401	99,99
სასოფლო და სადაბო საბჭოებში	1.497.457	1.497.413	99,99

ამრიგად, თითქმის ყველა ამომრჩეველმა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, შეადგენს:

	კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რიცხვი	პროცენტობით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის მიმართ
საოლქო საბჭოში	55.987	99,75
რაიონულ საბჭოებში	1.676.530	99,92
საქალაქო საბჭოებში	1.011.910	99,83
ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებში	488.509	99,82
სასოფლო და სადაბო საბჭოებში	1.496.327	99,93

იმ ბიულეტენების რიცხვი, რომლებშიც წაშლილია კანდიდატების გვარები, ე. ი. დეპუტატების კანდიდატთა წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი შეადგენს: საოლქო საბჭოს არჩევნებში — 139, ანუ 0,25 პროცენტს, რაიონულ საბჭოებში — 1.444, ანუ 0,08 პროცენტს, საქალაქო საბჭოებში — 1.666, ანუ 0,17 პროცენტს, ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებში — 871, ანუ 0,18 პროცენტს, სასოფლო და სადაბო საბჭოებში — 1.084, ანუ 0,07 პროცენტს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულია არჩევნების დებულების 99 მუხლის საფუძველზე, აღმოჩნდა 79.

ამრიგად, კენჭისყრის შედეგები ცხადყოფენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

სულ მთელ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია დეპუტატები 30.104 კაცი. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია. დეპუტატთა შორის არის 10.960 ქალი, ანუ 36,4 პროცენტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრები და წევრობის კანდიდატები — 14.485, ანუ 48,1 პროცენტი, უპარტიოები — 15.619, ანუ 51,9 პროცენტი, წარმოების მუშები და კოლმეურნეები — 18.274, ანუ 60,7 პროცენტი.

არჩევნები მოხდა ყველა საარჩევნო ოლქში.

ერთიანი ფრონტისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თქვენს განსახილველად შემოაქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესაბამისად.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მითითებანი, თუ რა მიმართულებით უნდა დაზუსტდეს 1956-60 წლების საკონტროლო ციფრები და 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის განხილვას ამ სესიაზე. სახალხო-სამეურნეო გეგმის განხილვა ყველა მისი ძირითადი მაჩვენებლით, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად, საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გავითვალისწინოთ და გამოვავლინოთ სახალხო მეურნეობაში არსებული გამოუყენებელი რეზერვები და ამავე დროს აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მგეგმავი და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში.

I. 1956 წლის გეგმის შესრულების ძირითადი შედეგები

ვიდრე სახალხო მეურნეობის 1957 წლის გეგმის ძირითად მიმართულებათა დახასიათებაზე გადავიდოდე, მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება 1956 წლის გეგმის ძესრულების შედეგების მოკლე მიმოხილვაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შედეგად 1956 წელს მოპოვებულია ახალი დიდი წარმატებანი სოციალისტური მრეწველობის და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. საბჭოთა ქვეყანა უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების საფუძველზე წარმატებით ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, მათ შორის სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვნად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. განხორციელდა დიდი ღონისძიებანი საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების მიზნით.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მშრომელებმა 1956 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით და წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაადიდა 9,5 პროცენტით. 1956 წელს თუჯის გამოშვება 1955 წელთან შედარებით გადიდდა 40 პროცენტით, ფოლადისა — 18 პროცენტით, ნაგლინისა — 21 პროცენტით, ავტომობილებისა — 26 პროცენტით, ექსკავატორებისა — 54 პროცენტით, აზოტოვანი სასუქებისა — ერთისამად, ცემენტისა — 74 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის გამოშვება გაიზარდა 19 პროცენტით.

აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო: ტყიბულის, გუმათის № 2 და ბუჟის ჰიდროელექტროსადგურები, ახალციხის ქვანახშირის სამმართველოს № 3 შახტი, ცემენტის და აზოტ-ტუკის ქარხნები რუსთავში და სხვ.

მძიმე მრეწველობასთან ერთად, 1956 წელს წარმატებით ვითარდებოდნენ სასურსათო საქონლის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის დარგები.

1956 წელს 1955 წელთან შედარებით ჩაის გამოშვება გაიზარდა 12 პროცენტით, მარგარინის ნაწარმისა — 13 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 9 პროცენტით, კონსერვებისა — 22 პროცენტით, ძეხვეულისა — 15 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 57 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — 20 პროცენტით და სხვ.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტით, ხოლო შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება რესპუბლიკურ სამრეწველო სამინისტროებში შემცირდა 1,7 პროცენტით.

1956 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულია ერთგვარი წარმატებანი. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიაღწია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლის გადიდება და დროზე შეასრულა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლის, ყურძნის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, მატყლის ჩაბარებისა და მიყიდვის გეგმა. შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმა. 1956 წელს ადგილი ჰქონდა ჩაის პლანტაციების, ვენახების, ციტრუსების, ხეხილის ბაღებისა და სხვა ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების ფართობების შემდგომ გადიდებას.

პარტიისა და მთავრობის მიერ 1956 წელს განხორციელებულმა დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა თვალსაჩინოდ გაუმჯობესა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ამის დამაჯერებელ მაჩვენებელს წარმოადგენს სახალხო მოხმარების ზრდა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკაში 1955 წელთან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება ფართო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე.

1956 წელს გრძელდებოდა რესპუბლიკის კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარება. უმაღლესმა და სპეციალურმა საშუალო სასწავლებლებმა, დაუსწრებელთა ჩათვლით, გასულ წელს გამოუშვეს 15 ათასი კაცი, რაც საგრძნობლად აღემატება 1955 წლის გამოშვებას. გადიდდა საბავშვო ბაღების, მასობრივი ბიბლიოთეკებისა და კინოდანადგარების ქსელი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

1956 წელს გაწეულ იქნა საგრძნობი მუშაობა მოსახლეობის კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ხორციელდებოდა ქალაქების კეთილმოწყობა, აშენდა აბანოები, გაფართოვდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი, მთელ რიგ ქალაქებში გაფართოებულ და რეკონსტრუირებულ იქნა წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი.

1956 წელს საგრძნობლად გაფართოვდა რესპუბლიკური მეურნეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მრავალი სამრეწველო საწარმო, რომლებიც წინათ საერთო-საკავშირო სამინისტროების გამგებლობაში იმყოფებოდა, უშუალოდ რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოვიდა. ამის შედეგად გაიზარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოთა ხვედრითი წონა. ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის წილი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა საწარმოთა საერთო პროდუქციის გამოშვებაში ამჟამად შეადგენს 76 პროცენტს ნაცვლად 1953 წლის 62 პროცენტისა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებათა გაფართოებამ შესამჩნევად გაუმჯობესა სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა და გააძლიერა რესპუბლიკური ორგანიზაციების დაინტერესება და პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმითა და ბიუჯეტით დაწესებულ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში.

მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს და სრულად ვერ ვიყენებთ იმ რეზერვებს, რაც ჩვენს რესპუბლიკას მოეპოვება.

საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მიერ 1956 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად საწარმოთა 28 პროცენტმა საგეგმო დავალებები ვერ შეასრულა, რის გამო სახელმწიფომ ვერ მიიღო მრავალი მილიონი მანეთის ღირებულების საჭირო პროდუქცია. 1956 წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს ბიათურის მარგანეცის ტრესტმა, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ, ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ.

ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, შეასრულა რა პროდუქციის საერთო გამოშვების გეგმა, ვერ უზრუნველყო ცალკეული სახის პროდუქციის გეგმის შესრულება ნატურალური გამოხატულებით. საფეიქრო მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გეგმა. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას დააკლო 177 ათასი ტონა ქვანახშირი. ტრესტებმა მეტალურგმშენმა, ტყვარჩელმშენმა, ტყიბულმშენმა, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს აგურის გამოშვების გეგმა, გამოუშვეს 24,5 მილიონი ცალით ნაკლები აგური. კასპის ცემენტის ქარხანამ გეგმის შესრულებას დააკლო 22 ათასი ტონა ცემენტი, ხოლო სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — 42 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქანი.

1956 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებდა. არახელსაყრელი ამინდისა და ნათესების არასაკმაო მოვლის გამო სიმინდისა და ზოგიერთი სხვა კულტურის მოსავლიანობა დაბალი იყო. არ შესრულებულა კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების და მზესუმზირას საერთო პროდუქციისა და დამზადების გეგმები. რესპუბლიკაში ზოგიერთი სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გადიდების მიუხედავად, მეცხოველეობის მდგომარეობა მთლიანად 1956 წელს კვლავ არადამაკმაყოფილებელი იყო, რამაც გავლენა მოახდინა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადება-შესყიდვის გეგმის შესრულებაზე.

ყველა ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ არასაკმარისად ხელმძღვანელობენ საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობას, ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას და არ იღებენ ზომებს ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის.

საჭიროა დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი, ავამაღლოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დონე და უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის ყველა მაჩვენებლის შესრულება.

II. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი დავალებანი

მრეწველობა

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა.

მრეწველობის დარგების განვითარებისათვის დასახულ დავალებათა საფუძველზე, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიერ საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით 5,9 პროცენტით გაიზრდება.

სამრეწველო წარმოების ზრდა უზრუნველყოფილი იქნება უმთავრესად საწარმოების მოქმედ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის, მრეწველობის მართვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გზით.

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების გეგმა ითვალისწინებს საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდას 1956 წელთან შედარებით:

	საერთო პროდუქცია 1957 წლის გეგმით	
	სულ მილიონ მანეთობით	პროცენტობით 1956 წლის მიმართ
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	5.312,6	105,6
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო	385,0	104,0
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	1.243,0	103,7
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	1.227,0	106,4
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	149,7	104,2
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	102,2	105,1
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	771,5	110,5
საქართველოს სარეწაო საბჭო	470,0	106,4

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში დაგეგმილია 2,75 პროცენტით.

1957 წლის გეგმის დაწესებისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით წარმოებისა და მშენებლობის გეგმებში ზედმეტი დაძაბულობის აღმოფხვრის შესახებ. ამიტომ საწარმოთა საგეგმო დავალებები რეალურია, ემყარება ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებას, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოყენების გათვალისწინებით, და მატერიალურად უზრუნველყოფილია.

ვიდრე გადავიდოდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების საკითხების გაშუქებაზე, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ჩვენი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ზოგიერთ საკითხზე. მართალია, მძიმე მრეწველობის ეს დარგები მიეკუთვნებიან საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობას, მაგრამ მათი მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაზე. განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს სათბობი და ენერგეტიკული მრეწველობა, რომლის შემდგომ განვითარებაზე დამოკიდებულია მთელი ჩვენი მრეწველობის მუშაობა.

ქვანახშირის მრეწველობა. ქვანახშირის მოპოვების 1957 წლის გეგმა საქართველოს ქვანახშირის კომბინატისათვის დაწესებულია 2.900 ათასი ტონის რაოდენობით. 1956 წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 3,4 პროცენტს.

მიუხედავად ქვანახშირის ამოღების ზრდისა, მისი ბალანსი რესპუბლიკაში კვლავ ძალიან დაძაბული რჩება და მნიშვნელოვან დეფიციტს იძლევა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენ იძულებული ვართ 1,5 მილიონამდე ტონა ქვანახშირი ყოველწლიურად დონბასიდან შემოვზიდოთ.

ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს გამოავლინონ და სრულად გამოიყენონ მთელი რეზერვები ქვანახშირის მოპოვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პირველ რიგში საჭიროა ყურადღება მიექცეს მოქმედი შახტების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების შემდგომ გაუმჯობესებას. ამ დარგში რეზერვები დიდია, მაგრამ საქქვანახშირის კომბინატი მათ საკმაოდ ვერ იყენებს. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარება დიდად დამოკიდებულია ახლად გამოვლინებულ შაორის ველის ქვანახშირის ბუდობის დროულად შესწავლა-ათვისებაზე. წინასწარი გაანგარიშებით დადგენილია, რომ აღნიშნული საბადო შეიცავს რამდენიმე ასეულ მილიონ ტონა ქვანახშირს. ჩვენი გეოლოგებისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ქვანახშირის ამ ახალი საბადოს გეოლოგიური ძიების უმოკლეს ვადაში დამთავრება და შახტების მშენებლობის დაწყება.

ელექტროენერგეტიკა. ელექტროენერგეტიკა ყოველთვის იყო საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რადგან ამ დარგის განვითარებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ზრდა. მიღებული ენერგიული ზომების შედეგად უკანასკნელ ორ წელს მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. მაგრამ ელექტროენერგიის გამომუშავება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას. რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება ნავარაუდევია გადიდდეს 1957 წელს 18 პროცენტით 1956 წელთან შედარებით.

ეს ზრდა ძირითადად იქნება ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის ახალ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის გზით.

მიუხედავად ასეთი ზრდისა, ელექტროენერგიის დეფიციტი 1957 წელს მაინც იქნება, რაც ერთგვარ სიძნელეებს შექმნის ჩვენი სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეში.

ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაწყებული ახალი ჰიდროელექტროსადგურების — ხრამჰეს-II, გუმათჰეს-I, ლაჯანურჰესის მშენებლობის დაჩქარებას და დაწესებულ ვადებში მათი მშენებლობის დამთავრებას.

ჩვენმა ჰიდროენერგომშენებლებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყონ ამ ამოცანის წარმატებით შესრულება. მათ ამის ყველა შესაძლებლობა აქვთ. კარგი მუშაობით მათ შეუძლიათ 1957 წელს დაამთავრონ გუმათჰესი-I-ის მშენებლობა.

შავი მეტალურგია. პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შავი მეტალურგიის განვითარების საკითხებს. ეს გასაგებიც არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ლითონის წარმოების დონე ბევრად განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის და პირველ რიგში მანქანათმშენებლობის განვითარების ტემპებს.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში 1957 წლისათვის დაგეგმილია თუჯის გამოდნობა გადიდდეს 5,7 პროცენტით 1956 წელთან შედარებით, ფოლადისა — 20,8 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 3,9 პროცენტით, ფოლადის მთლიანნაგლინის მილების გამოშვება გაიზრდება 15,2 პროცენტით.

1957 წლის გეგმით ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში გათვალისწინებულია ორი ახალი მარტენის ღუმელისა და ზოგიერთი სხვა ობიექტის ამუშავება.

უნდა ვაღიაროთ, რომ 1956 წელს მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრომ ჯერ კიდევ სრულად ვერ გამოიყენა ფოლადის გამოდნობის გადიდების არსებული რეზერვები. ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მარტენის ღუმელის ქვედის ფართობის ერთი კვადრატული მეტრიდან ფოლადის მიღება ჯერ კიდევ იმაზე დაბალია, რაც საშუალოდ მიღწეულია ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნებში.

1957 წელს უნდა გამოვიყენოთ ფოლადის გამოდნობის ზრდის მთელი რეზერვები, რაც საშუალებას მოგვცემს შესაბამისად გავადიდოთ ნაგლინისა და მთლიანნაგლინი მილების გამოშვება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მეტალურგიული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქარხნის პროდუქციის თვითღირებულება ჯერ კიდევ ძალიან მაღალია.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მარგანეცის მრეწველობის შემდგომ განვითარებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მთელი მარგანეცის პროდუქციის დაახლოებით 70 პროცენტს საქართველო იძლევა, ცხადი იქნება, რა პასუხსაგები ამოცანები დგას მარგანეცის მრეწველობის მუშაკების წინაშე.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ხაზით 1957 წლის გეგმით გათვალისწინებულია მარგანეცის სასაქონლო მადნის წარმოების გადიდება 13,2 პროცენტით გასული წლის დონესთან შედარებით.

წარმოების მოცულობა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში 1956 წელთან შედარებით გაიზრდება 33 პროცენტით.

მანქანათმშენებლობის მრეწველობა ცნობილია, რომ მანქანათმშენებლობა წარმოადგენს ინდუსტრიის მთავარ მამოძრავებელ ძალას. მანქანათმშენებლობის განვითარებაზე დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის თანამედროვე, მაღალი წარმადობის მანქანებით, ჩარხებითა და სხვა მოწყობილობით აღჭურვის გადიდება. გასულ ხუთწლედებში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მანქანათსამშენებლო მრეწველობა.

ჩვენი წამყვანი ქარხნების — თბილისის კიროვის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ბათუმის მანქანათმშენებელი და სხვა ქარხნების პროდუქცია განთქმულია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

მიმდინარე ხუთწლედში იწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება.

ჩვენი უდიდესი მანქანათმშენებელი საწარმო — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა უშვებს უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის მანქანებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მიმდინარეობს მუშაობა მაღალნაყოფიერი სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების სერიული წარმოების მოსაწყობად.

ჩვენი ლითონდამამუშავებელი საწარმოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქალაქ თბილისში შექმნილია საინსტრუმენტო ქარხანა, სადაც უკვე იწყება ინსტრუმენტების წარმოება.

რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება რადიოტექნიკური და ელექტროტექნიკური მრეწველობა. საკავშირო ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქარხნების — „ელექტროგამშვების“, „ელექტროავტომატის“ და „პლასტმასის“ პროდუქცია რამდენჯერმე გადიდდება მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის.

უკანასკნელ დრომდე რესპუბლიკას არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების საწარმოები, თუ სათვალავში არ მივიღებთ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანას, რომელიც მხოლოდ რამდენიმე სახეობის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს უშვებდა.

იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დასამუშავებელ მანქანებზე, 26 კომისრის სახელობის ქარხანაში და სამანქანო დეტალების ქარხანაში ეწყობა მანქანების წარმოება ჩაის პლანტაციებში და მთაგორიან რაიონებში სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მანქანათმშენებლობის დარგში დასახულია უაღრესად სერიოზული ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს წარმოების ტექნიკის სისტემატურ სრულყოფას, შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, წარმოების პროცესების ფართო მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1956 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში — ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და გორში მოეწყო ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო და ხელსაწყოთმშენებლობის ქარხანა, რომლებიც მოწოდებული არიან შეიმუშაონ და დანერგონ წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია სამთამადნო, მეტალურგიულ, ქიმიურ, საფეიქრო, კვების მრეწველობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ქიმიური მრეწველობა. ჩვენ ყოველგვარი მონაცემები გვაქვს მსხვილი ქიმიური მრეწველობის მძლავრი განვითარებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ამას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხანა. ამ ქარხანას, რომელიც მინერალურ სასუქებს უშვებს, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

1957 წლისათვის გათვალისწინებულია საქართველოში გამოშვებულ იქნას აზოტოვანი სასუქები 2,3-ჯერ იმაზე მეტი, რაც ქარხანამ 1956 წელს გამოიმუშავა.

აქ უნდა ითქვას, რომ რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხნის კოლექტივი 1956 წელს ვერცთუ დამაკმაყოფილებლად მუშაობდა, რის შედეგადაც 1956 წელს ქარხანამ წარმოების გეგმა დიდი დანაკლისით შეასრულა და ჩვენს სოფლის მეურნეობას დააკლო დიდძალი მინერალური სასუქი. ქარხნის კოლექტივმა უნდა გამოიყენოს მთელი არსებული შესაძლებლობანი და აუცილებლად უზრუნველყოს გეგმის შესრულება.

ჩვენ დიდი პერსპექტივები გვაქვს ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, პირველ რიგში — ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მდიდარი ნარჩენების ბაზაზე. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება პერსპექტიული დაგეგმვის დროს.

წარმოების შემდგომი ზრდა განზრახულია აგრეთვე ქუთაისის ლიტოპონის ქარხანაში და ქიმიური მრეწველობის სხვა საწარმოებში.

ცემენტის მრეწველობა. ცემენტის წარმოების გეგმა 1957 წლისათვის განისაზღვრება 43,9 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ცემენტის წარმოება გაიზრდება რუსთავის ქარხანაში 2,2-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო კასპის ქარხანაში 1956 წლის დონეზე რჩება.

შიფერის წარმოება კასპის ცემენტის ქარხანაში დაგეგმილია 34 მილიონი პირობითი ფილის რაოდენობით, რაც შარშანდელზე 14,5 პროცენტით მეტია.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცემენტის საწარმოებში მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ ცემენტის მრეწველობა ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს წარმოების გადიდების არსებულ შინაგან რეზერვებს.

ჩვენს ცემენტის მრეწველობას ყველა შესაძლებლობა აქვს საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულოს გეგმები და ამით ხელი შეუწყოს ჩვენს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის უფრო ფართოდ გაშლას. ეს

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(გაგრძელება)

ცემენტის მრეწველობის მუშაკთა საპატიო ამოცანაა, და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ ამოცანას ისინი პირნათლად შეასრულებენ.

საშენ მასალათა მრეწველობა. გადავდივარ რა მრეწველობის რეპუბლიკური დაქვემდებარების დარგებზე, დეპუტატების ყურადღება უნდა შევაჩერო, უწინარეს ყოვლისა საშენ მასალათა მრეწველობაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის ახალი მშენებლობის გაშლისათვის.

1957 წლის გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომი განვითარება. საკედლე მასალების წარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია გეგმით 350.450 ათასი ცალი პირობითი აგურის რაოდენობით, რაც 45,9 მილიონით მეტია, ვიდრე 1956 წელს. თუმცა საკედლე მასალების გამოშვება საგრძნობლად იზრდება 1956 წელთან შედარებით, მაგრამ კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილება ამ მასალებზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ცნობილია, რომ ამჟამად საკედლე მასალის სიმცირე ერთგვარად აფერხებს კაპიტალურ მშენებლობას, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის გაშლის შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ამხ. გ. პ. ხომერიკი) ზოგიერთ აგურის ქარხანაში ჯერ კიდევ არ იღებენ ქმედითს ღონისძიებებს იმისათვის, რომ სრულად იქნას გამოყენებული საწარმოო სიმძლავრენი, არსებული გამოსაწვავი ღუმელები.

საკმარისია ითქვას, რომ სამინისტროს რგოლური ღუმელების გამოსაწვავი არხის მოცულობის ერთ კუბურ მეტრზე აგურის საშუალო მიღება შეადგენდა 1956 წელს 1.150 ცალს, ხოლო გეგმით 1957 წლისათვის შეადგენს 1.300 ცალს. ამავე დროს სამტრედიის აგურის ქარხანაში, მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის შედეგად, 1956 წელს მიღებული იყო 1.645 ცალი, საბურთალოს ქარხანაში — 1.551 ცალი, მაშინ როცა ზუგდიდის, ხაშურის, ლანჩხუთისა და ნოსტრის ქარხნებში აგურის მიღება 1956 წელს შეადგენდა მხოლოდ 532-დან 825-მდე ცალს თვეში.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა სამინისტროების (ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო და სხვ.) საუწყებო აგურის ქარხნებში.

ჩამორჩენილ ქარხნებში აგურის მიღების გადიდება სამტრედიის ქარხნის მიერ მიღწეულ დონემდე საშუალებას მოგვცემდა გაგვედიდებინა აგურის გამოშვება წელიწადში სულ ცოტა 26 მილიონი ცალით, რაც უაღრესად საჭიროა რესპუბლიკაში მშენებლობის გაზრდილი მოცულობის უზრუნველსაყოფად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკები ჯერ კიდევ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მსუბუქი საკედლე მასალის გამომუშავებას, მაშინ როცა ამ დარგის განვითარება საშუალებას მოგვცემდა საგრძნობლად შეგვემცირებინა ერთი მხრივ საკედლე მასალის დანაკლისი, ხოლო მეორე მხრივ — მშენებლობის თვითღირებულება.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენს წინაშე რკინაბეტონის კონსტრუქციების და ნაკეთობათა წარმოების გაზრდისათვის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ძალიან დიდი ჩამორჩენა გვაქვს.

1957 წელს ჩვენს რესპუბლიკაში გამოშვებულ უნდა იქნას 114,3 ათასი კუბმეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციები და ნაკეთობები, რაც 71,8 პროცენტით მეტია, ვიდრე 1956 წელს. ჩვენი ძირითადი ამოცანაა აუცილებლად უზრუნველყოთ ამ პროგრაიის დროულად შესრულება, უზრუნველყოთ კაპიტალური მშენებლობის ობიექტები და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობა რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

სატყეო მრეწველობა. სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმით საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიერ სამასალე მერქნისა და შეშის დამზადება გათვალისწინებულია 1.260,5 ათასი კუბური მეტრის მოცულობით, რაც 24,2 პროცენტით მეტია, ვიდრე 1956 წელს.

1956 წელს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის მუშაკებს არ შეუსრულებიათ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. კერძოდ, არ შესრულებულა სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა. არ შესრულებულა აგრეთვე ზოგიერთი სახის სამუშაოთა მექანიზაციის გეგმა. სამინისტრომ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა და უზრუნველყოს ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის 1957 წლისათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმის უცილობლივ შესრულება. ამისათვის კი საჭიროა განხორციელდეს ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის ძირითადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია, ისეთი სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, როგორიც არის ბენზოხერხები და ელექტროხერხები, საჰაეროსაბაგირო გზები და მორსაშვებები, ჯალამბრები, ტრაქტორები და სხვ.

ჩვენს ტყეებში დაგროვილი მწიფე და გადაბერებული ხე-ტყის მარაგის სახალხო მეურნეობაში გამოყენება უნდა მოხდეს ერთი მხრივ მექანიზებული მოზიდვის უფრო სრულყოფილ სამუალებათა დანერგვით, ხოლო მეორე მხრივ ხე-ტყის საზიდი საავტომობილო გზების მშენებლობის ფართოდ გაშლით. ამით მივაღწევთ იმას, რომ შემცირდება ხე-ტყის დამზადების ყველაზე შრომატევადი პროცესის — მოზიდვის მანძილი და რეალური საფუძველი ჩაეყრება ტყის სამრეწველო მასივების ათვისებას.

მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ამჟამად მუშავდება საკითხი, რომ სატყეო მრეწველობის ბაზებში დაინერგოს რაციონალური ჭრა. ამით შეიქმნება იმის პირობები, რომ მომავალ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდეს ხე-ტყის დამზადების მოცულობა და მკვეთრად გაუმჯობესდეს ტყეში მომუშავე მექანიზმების გამოყენების კოეფიციენტი, ჩვენი ტყეების ნიადაგდამცავი და წყლის რეჟიმის შემნახველი თვისებების გათვალისწინებით.

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ავეჯზე, ავეჯის წარმოება საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხაზით გაიზრდება 10,2 პროცენტით. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ავეჯს ამზადებენ, უნდა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება გამოშვებული ავეჯის ხარისხის ძირეულად გაუმჯობესების საკითხებისადმი.

ეს, კერძოდ, შეეხება საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს, რომლის ცალკეული საწარმოები სავაჭრო ქსელს დაბალი ხარისხის ავეჯს აწვდიან. საქმე იქამდე მივიდა, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ 1957 წლის 9 თებერვალს სავაჭრო ორგანიზაციებს აუკრძალა სტალინირის სატყეო კომბინატის მიერ გამოშვებული ბუფეტების, წიგნის კარადებისა და ტახტების მიღება მათი დაბალი ხარისხის გამო.

კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობის წინაშე დიდი ამოცანები დგას ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდის მხრივ. სულ ამ სახის საქონელი 1957 წელს გამოშვებულ უნდა იქნას 8.551,5 მილიონი მანეთისა, ანუ 5,1 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კვების მრეწველობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებას 1956 წელთან შედარებით 5,1 პროცენტით.

ცალკეული სახეების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებანი:

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რესურსების შესაბამისად, 1957 წელს გამომუშავებულ უნდა იქნას 29,1 ათასი ტონა ბაიხაო-ჩაი, ანუ 12,7 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

კონსერვის გამოშვების დავალება მთლიანად რესპუბლიკაში ნავარაუდევია 90,5 მილიონი პირობითი ქილის რაოდენობით, აქედან 1,2 მილიონ პირობით ქილას გამოუშვებს საქართველოს თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სისტემა.

ყურძნის ღვინის გამოშვება მთლიანად რესპუბლიკაში 1956 წელთან შედარებით მცირდება 11,3 პროცენტით.

ღვინის წარმოება მცირდება იმის გამო, რომ 1956 წელს მოუსავლიანობის შედეგად ყურძენი ნაკლები რაოდენობით დამზადდა, ვიდრე 1955 წელს, რამაც სათანადოდ შეამცირა ღვინო-მასალის რესურსები.

საკონდიტრო ნაწარმი იგეგმება 20 ათასი ტონის რაოდენობით, ანუ ზრდა გასულ წელთან შედარებით შეადგენს 11,6 პროცენტს.

პურ-ფუნთუშეულის წარმოება მთლიანად რესპუბლიკაში დაგეგმილია 5.400 ტონით მეტი, ვიდრე 1956 წელს, ანუ 1,2 პროცენტით მეტი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და ცეკავშირის პურსაცხობი საწარმოები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ პურ-ფუნთუშეულის ხარისხის გაუმჯობესების არსებულ შესაძლებლობებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სპეციალურად განიხილა პურის ხარისხის საკითხი და დასახა ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის.

სასურსათო საქონლის წარმოების მოცულობის ნავარაუდევ შემდგომ გადიდებასთან ერთად აგრეთვე განხორციელდება სასურსათო საქონლის სამინისტროს და ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს სისტემებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხორცისა და რძის პროდუქტების, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმის, პურ-ფუნთუშეულის, კონსერვის, ჩაის, ღვინის და სხვა ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას.

1957 წლის გეგმით დასახულია მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის შემდგომი განვითარება.

ბამბის ქსოვილების გამოშვება რესპუბლიკაში იგეგმება 45,7 მილიონი მეტრი, ანუ 9,2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს. შალის ქსოვილების წარმოება გადიდდება 3,2 პროცენტით და იგეგმება 4.518 ათასი მეტრის რაოდენობით, აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება იგეგმება 18,3 მილიონი მეტრის რაოდენობით, რაც 2,7 პროცენტით აღემატება 1956 წლის დონეს.

ფეხსაცმლის წარმოება ნავარაუდევია 8,48 მილიონი წყვილის რაოდენობით, რაც 14,4 პროცენტით მეტია, ვიდრე გასულ წელს. ტყავისძირიანი ფეხსაცმლის ხვედრითი წონა 1956 წლის 40,2 პროცენტიდან გადიდდება 43,6 პროცენტამდე 1957 წელს.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში საქონლის დამატებით გამოშვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ნედლეულისა და მასალის ეკონომიური გამოყენება. ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნების გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ტყავეულისა და ქსოვილების რაციონალური გამოჭრით შესაძლებელია დამატებით მრავალი ათასი წყვილი ფეხსაცმლის და მზა ტანისამოსის გამოშვება. ამ მხრივ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. მაგალითად, 1956 წელს ფეხსაცმლის № I ფაბრიკამ შეძლო მასალის ეკონომიის გზით დამატებით გამოეშვა 98,6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია მუშაობისა. საჭიროა უფრო მეტად გამოვიყენოთ მოწინავე ფაბრიკების გამოცდილება და მივაღწიოთ ნედლეულის მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას.

მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში სათანადო ყურადღება არ ექცევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, განსაკუთრებით მის გარეგნულ გაფორმებას. მართალია, ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაწეულია და ჩვენი ქსოვილები ახლა უფრო ლამაზია, გაფართოებულია ასორტიმენტი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამოვრჩებით ხარისხის მხრივ საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე საწარმოებს, განსაკუთრებით მზა ტანისამოსის გამოშვების საქმეში.

საქართველოს სსრ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროებმა (მინისტრები ამხ. გ. ა. რობაქიძე და ი. დ. არმელაძე) არამარტო უნდა უზრუნველყონ საფეიქრო ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გაფართოება, როგორც ეს 1957 წლის გეგმით არის გათვალისწინებული, არამედ მტკიცედ უნდა დაიცვან ყველა სახის საფეიქრო და ტყავის ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისა და რაციონალურად გამოყენების წესი, რათა ნედლეულის არსებული რესურსებიდან მოგვცენ მაღალი ხარისხის ფართო მოხმარების მეტი საქონელი.

ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ წარმოებაში ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის საკითხს და შეცვალონ მოძველებული მანქანები ახალი, უფრო მაღალი წარმადობის მანქანებით.

ადგილობრივი მრეწველობა. 1957 წლის გეგმით ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სარეწაო საბჭოსათვის დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ამასთან მაქსიმალურად უნდა გადიდდეს ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება.

1957 წლის გეგმით ნავარაუდევია საერთო პროდუქციის გამოშვება ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით 771,5 მილიონი მანეთის რაოდენობით, ანუ 10,5 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამასთან სასაქონლო პროდუქციის გამოშვება გადიდდება 17,2 პროცენტით 1956 წელთან შედარებით.

საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში საერთო პროდუქციის გამოშვება 1957 წლისათვის დაგეგმილია 470 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც 6,4 პროცენტით აღემატება 1956 წლის დონეს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვება საქართველოს სარეწაო საბჭოს ხაზით გაიზრდება 16,5 პროცენტით და შეადგენს 348,5 მილიონ მანეთს.

გამოყოფილი ფონდების შესაბამისად გასაზღვრულია ისეთი სხვადასხვა სახის ნაკეთობათა გამოშვების საწარმოო პროგრამა ნატურით, როგორიც არის ლითონის ნაწარმი, ელექტროუთოები, რადიოაპარატურა, ზედა, ქვედა და საბავშვო ტრიკოტაჟი, ქსოვილები, სამკერვალო ნაწარმი, კაცისა და ქალის წინდები და სხვა სახის პროდუქცია, რომლებიც გამოშვებული იქნება 1957 წელს უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ფაქტიურად იყო გამოშვებული 1956 წელს.

სასაქონლო პროდუქციის დაგეგმილი ზრდის მიუხედავად, სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილება ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებულ ფართო მოხმარების ნაწარმზე მაინც ვერ კმაყოფილდება. ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროდუქციის ხარისხს, რადგან იგი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას.

* * *

ასეთია მოკლედ რესპუბლიკაში მრეწველობის განვითარების 1957 წლის გეგმის ძირითადი მიმართულება. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა ისე წარმართონ თავიანთი მუშაობა, რომ აუცილებლად უზრუნველყონ 1957 წლის დაწესებული გეგმების შესრულება.

სამრეწველო სამინისტროებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საწარმოთა მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების ზრდას, რადგან იგი წარმოადგენს წარმოების შემდგომი გაფართოებისა და მშრომელთა მატერიალური პირობების ამაღლების მთავარ წყაროს.

მიმდინარე წელს ახალი ტექნიკის დანერგვის და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ბაზაზე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების, სარეწაო კოოპერაციის ჩათვლით, სამრეწველო საწარმოთა შრომის ნაყოფიერების ზრდა 1957 წლის გეგმით გათვალისწინებულია 6,2%-ით.

შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებაში ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვის საკითხს, წარმოების ხარჯების შემცირებას, იმ დანაკარგების აღმოფხვრას, რაც ჩვენს ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ ძალიან დიდია.

ყველა ამ ეკონომიური მაჩვენებლის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებულ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ეს კი მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით მოგვცემს 28,6 მილიონ მანეთ ეკონომიას.

ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებათა საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალურად გამოყენებას. სავსებით შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთ საწარმოსა და უწყებას საკმაო რაოდენობით ჯერ კიდევ არ აუმუშავებია მანქანები და მოწყობილობა.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებს. საჭიროა ამ მხრივ მკვეთრად გავაუმჯობესოთ მუშაობა. საწარმოო გეგმა უთუოდ უზრუნველყოფილ უნდა იქნას სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავის ა. წ. 25 თებერვლის დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გადასცა მატერიალური ფონდები, აგრეთვე ლიმიტები და დავალებანი კაპიტალური მშენებლობისა, შრომისა და თვითღირებულებისა, რომლებიც გათვალისწინებულია 1957 წლის გეგმით საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისათვის. ამით უფრო ფართოვდება რესპუბლიკური ორგანოების უფლებები და საგრძნობლად იზრდება სახელმწიფო საგეგმო კომისიის პასუხისმგებლობა მრეწველობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხელმძღვანელობის საკითხში.

სოფლის მეურნეობა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომ ზრდას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1956 წელი სოფლის მეურნეობისათვის ამინდის პირობების მხრივ მეტად არახელსაყრელი იყო, რის გამო ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაბალი მოსავალი მივიღეთ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სადაც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გამოიჩინეს საჭირო ოპერატიულობა და მზრუნველობა, იქ, ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ცუდი შედეგები როდი იყო მიღებული.

ისეთი რაიონების კოლმეურნეობებიც კი, რომლებიც მეზობელ რაიონებთან შედარებით ჰავისა და ნიადაგის თანაბარ ან უკეთეს პირობებში იმყოფებიან, მათზე ნაკლებ მოსავალს იღებენ. მაგალითად, თელავის რაიონის კოლმეურნეობებში სიმინდის საშუალო მოსავალმა 1956 წელს შეადგინა 20,6 ცენტნერი, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში — 14,2 ცენტნერი, ხოლო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში — 14,1 ცენტნერი; ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს საშუალოდ 18 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა — 13,5 ცენტნერი.

მარცვლეულის წარმოების ისეთ ძირითად რაიონში, როგორიც არის სიღნაღის რაიონი, ღორის ხორცის წარმოება 100 ჰექტარ სახნავზე არ აღემატება 8,3 ცენტნერს, მაშინ როდესაც გურჯაანის რაიონში იგი უდრის 18,1 ცენტნერს, ზუგდიდის რაიონში—14,2 ცენტნერს, ხოლო ხობის რაიონში — 3,4 ცენტნერს.

1957 წელს განზრახულია საგრძნობლად გადიდდეს კოლმეურნეობებში მარცვლის, კარტოფილის, თამბაქოს და ბოსტნეულის წარმოება ძირითადად ამ კულტურების მოსავლიანობის ზრდით.

განზრახულია აგრეთვე გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით: ჩაისა — 12,8 პროცენტით, ბოსტნეულისა — 22,6, ჭარხლისა — 10, კარტოფილისა — 60, რძისა — 39, კვერცხისა — 24 პროცენტით და ასე შემდეგ.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღჭურვილობა ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გახმტკიცდება კადრებით, რაც გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს მათ იმ მხრივ, რომ უფრო მეტი და ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაციის საქმეში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ჯერ კიდევ ვერ უწევს კოლმეურნეობებს სათანადო მომსახურეობას და ისინი არ გადაქცეულან სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნამდვილ ორგანიზატორებად.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებას, რომლებიც, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში.

გასული წლის დამლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხები და დასახეს ღონისძიებანი ხეხილის ბაღებისა და ვენახების შემდგომი განვითარებისათვის. ამ დადგენილების შესრულება ყველა ჩვენგანის საბრძოლო ამოცანაა.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 120 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ეს უაღრესად დიდი დავალებაა, რომლის შესრულებისათვის დაუოკლავად უნდა ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები. მიუხედავად ამისა, არსებული მონაცემები ადასტურებენ, რომ ჩაის პლანტაციები მთელ რიგ რაიონებში უყურადღებოდ არის მიტოვებული.

საჭიროა აუცილებლად უზრუნველყოთ პლანტაციების სრულ წესრიგზე მოყვანა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ასევე ითქმის თამბაქოს კულტურაზე; მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს დამზადების გეგმა 1957 წელს შემცირებულია, ამ გეგმის შესრულება მაინც მოითხოვს დაძაბულ მუშაობას და ამ კულტურისადმი ყოველდღიურ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ თამბაქოს მოყვანის საქმეში მექანიზაციის გამოყენების დონე სხვა კულტურებთან შედარებით ჯერ კიდევ მეტად დაბალია. საჭიროა აგრეთვე გამახვილებულ იქნას ყურადღება ციტრუსოვანთა და სხვა ტექნიკურ კულტურათა მოვლა-დამუშავების საკითხებისადმი.

1957 წელს დიდი მუშაობა უნდა იქნას გაწეული საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მეცხოველეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი დარგი უნდა იყოს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ სწორად ვერ გაიგო და ვერ განახორციელა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილება, რომელიც უფლებას ანიჭებს მათ თვითონ დაგეგმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

იმის ნაცვლად, რომ დაგეგმვის დარგში მინიჭებული ინიციატივა უკეთესი ხერხების გამოსანახავად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად გამოიყენებინათ, ეს კოლმეურნეობები ითვალისწინებენ პროდუქციის ძალიან უმნიშვნელო გადიდებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც ამცირებენ თავიანთ წარმოებას მიღწეულ დონესთან შედარებით.

ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კი არ ეწევიან საჭირო ახსნა-განმარტებითს მუშაობას და ამ კოლმეურნეობათა ყურადღებას არ აპყრობენ ადგილობრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობაზე. ისინი ქმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ კოლმეურნეობების მიერ დაგეგმილი წარმოების მოცულობა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებას. უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება პირველ რიგში თვით კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყველა შესაძლებლობა არსებობს ღორისა და ფრინველის ხორცის წარმოების გადიდებისათვის, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ იყენებენ დამაკმაყოფილებლად.

საგულისხმოა ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთ რაიონში არ ემჩნევა გარდატეხა წველადობის გადიდებისაკენ და, პირიქით, საქმე წველადობის დაკლებისაკენ მიდის. მაგალითად, მიმდინარე წლის 1 მარტისათვის, 1956 წლის ამავე რიცხვთან შედარებით წველადობამ დაიკლო ქარელის რაიონში 29 კილოგრამით, თეთრი წყაროს რაიონში — 51 კილოგრამით, აბაშის — 37 კილოგრამით, ხობის რაიონში — 63 კილოგრამით, სამტრედიის რაიონში — 51 კილოგრამით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამა წლის 20 თებერვლის დადგენილებით — „1956 წლის მუშაობის შედეგებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული პირუტყვის სულადობის შემცირების, დაბალი წველადობის, ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოების სიმცირისა და ყოველ 100 დედა-პირუტყვზე ნამატის მცირე რაოდენობით მიღებისათვის.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სათანადო დასკვნები გააკეთონ იმ კრიტიკიდან, რომელსაც ეს დადგენილება შეიცავს, და 1957 წელს განახორციელონ ღონისძიებანი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეფრინველეობის განვითარების შესახებ მიღებული დადგენილების შესრულება მოიხსნა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის დაძაბულ მუშაობას ამ მივიწყებული დარგის უახლოეს ხანში განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მხრივ 1957 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ერთ-ერთ ამოცანად რჩება კოლმეურნეობებში საკვები ბაზის განმტკიცებისა და განვითარების საკითხი.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ ვიყენებთ ყველა არსებულ შესაძლებლობებს. განსაკუთრებით ჯერ კიდევ სათანადოდ არ ვაფასებთ სიმინდის კულტურას, რომელიც მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში წამყვანი, ძირითადი კულტურაა. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სიმინდი სასილოსედ. ამის შესაძლებლობა გვაქვს, მაგრამ, უნდა ითქვას, სრულად არ ვიყენებთ ამ შესაძლებლობას. კერძოდ, აქამდის ვერ მოვახდინეთ გარდატეხა და მაქსიმალურად ვერ გამოვიყენეთ ნაწვერალზე სიმინდის დათესვის არსებული შესაძლებლობანი. ეს საშუალებას მოგვცემდა გაცილებით მეტი რაოდენობით დაგვესილოსებინა სიმინდი რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის მდგომარეობაში და ამით საგრძნობლად გაგვზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბუნებრივი საკვებ-სავარგულების გაუმჯობესებას, რომლებიც აგრეთვე წარმოდგენენ საკვები ბაზის განმტკიცების რეზერვს.

გასულ წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა ერთგვარად გააუმჯობესეს მუშაობა. გადაჭარბებით იქნა შესრულებული მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და ჩაბარების გეგმები. მაგრამ მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა მეურნეობას რომ ისე ემუშავნა, როგორც მოწინავე საბჭოთა მეურნეობებმა იმუშავეს.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(დასასრული)

უაღრესად დიდი ამოცანები აკისრიათ წელს საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა გარდა, საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს გასუქებაზე დამატებით დააყენონ 15.000 სული ღორი და გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 2.500 ცენტნერი ღორის ხორცი, დამატებით გაზარდონ 150.000 ფრთა ფრინველი და დამატებით ჩააბარონ 1.500 ცენტნერი ქათმის ხორცი.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და შესაბამისი რაიონების ხელმძღვანელებს მოუხდებათ სერიოზული მუშაობა გასწიონ ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცებისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის მისაღწევად საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა არ დაუშვან გასული წლის ნაკლოვანებათა გამეორება და მთელი შეგნებით მოჰკიდონ ხელი მათ წინაშე მდგომი ამოცანების აუცილებლად შესრულებას.

კაპიტალური და საბინაო მშენებლობის საკითხები

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალური მშენებლობა უდიდესი მასშტაბებით ხორციელდება. იგი უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების გაფართოებულ სოციალისტურ კვლავწარმოებას, ქმნის საწარმოო საშუალებათა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სისტემატური ზრდის, ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის ზრდისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის მატერიალურ წანამძღვრებს.

წლითიწლობით იზრდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. 1956 წელს დიდი ოდენობით განხორციელდა კაპიტალური მშენებლობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. 1956 წელს კაპიტალური დაბანდებანი აღემატებოდა 1.780 მილიონ მანეთს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დაბანდების ჩათვლით. გარდა ამისა, კაპიტალური დაბანდებანი ხორციელდებოდა დაფინანსების სხვა წყაროების ხარჯზე.

კაპიტალური მშენებლობის დარგში პარტიის პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება მეტ ეფექტიანობას. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს, რომლებიც მთელი სისრულით გამოააშკარავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა.

რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და უწყება ქაქანებს სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს მრავალ ობიექტზე, ამასთან მეტისმეტად აჭიანურებს საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს. ამის შედეგად დიდძალი სახსრები იყინება დაუმთავრებელ მშენებლობაში. უნდა ითქვას, რომ მოუფიქრებელი დაგეგმვა და ახალი მშენებლობის ობიექტებს შორის სახსრების განაწილება დამახასიათებელია ისეთი სამინისტროებისათვის, როგორიც არიან კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სამინისტროები.

სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს დაპროექტების დარგშიც. ხშირად ახალი ობიექტების მშენებლობის რაიონის არასწორად ამორჩევა იწვევს სახელმწიფო სახსრების დიდ, ეკონომიურად გაუმართლებელ ხარჯებს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ინერგება კაპიტალურ მშენებლობაში ტიპური დაპროექტება.

საკავშირო-რესპუბლიკურ და ადგილობრივ მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1957 წლისათვის გათვალისწინებულია 602,5 მილიონი მანეთის რაოდენობით, გასულ წელთან შედარებით 1,3 პროცენტით მეტი, აქედან საკავშირო-რესპუბლიკურ მეურნეობაში — 363,5 მილიონი მანეთი და ადგილობრივ მეურნეობაში — 239 მილიონი მანეთი.

1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით სერიოზული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას რესპუბლიკაში.

საბინაო მშენებლობისათვის საკავშირო დაქვემდებარების საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით 1957 წელს გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 300 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ 54,4 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 217.652 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 18 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს, მათ შორის ქ. თბილისში 100 ათასამდე კვ. მეტრი, ანუ 33 პროცენტით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

განსაკუთრებით იზრდება კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობისათვის. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ხაზით. თუ 1956 წელს ადგილობრივმა საბჭოებმა ამ მიზნებისათვის დახარჯეს 17,3 მილიონი მანეთი და საექსპლოატაციოდ გადასცეს 12 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 1957 წელს საქალაქო და რაიონული საბჭოები საბინაო მშენებლობაზე დახარჯავენ 45,3 მილიონ მანეთს და საექსპლოატაციოდ გადასცემენ 26,2 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ანუ ერთიორად მეტს.

უნდა მივაღოთ ყოველგვარი ზომები, რათა უზრუნველყოთ არა მარტო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის 1957 წლისათვის დაწესებული დავალების უცილობელ შესრულება, არამედ კიდევაც გამოვნახოთ დამატებითი რეზერვები ამ დავალების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამ მხრივ კარგი ინიციატივა გამოიჩინა თბილისის საქალაქო საბჭომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ძირითადი გეგმის გარდა დამატებით ააშენოს 12 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამასთან ერთად საბინაო მშენებლობის პრაქტიკაში გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ზედმეტობა, რომელიც ამცირებს მშენებლობის ღირებულებას და ანელებს მისი განვითარების ტემპებს, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები, აქტიურად დავუჭიროთ მხარი მშრომელთა ინიციატივას საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში საკუთარი ძალებით.

ტიპური პროექტებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად საჭიროა დაინერგოს აგრეთვე მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნება შემსუბუქებული კონსტრუქციები და იაფი ადგილობრივი საშენი მასალები. ამ მხრივ ინიციატივა უნდა გამოიჩინონ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებმა.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ უკეთ უნდა გამოიყენოს არსებული რეზერვები ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულების შემცირების საქმეში, ამასთან სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირებას და საბინაო მშენებლობის გაიაფებას მშენებლობის მოწინავე ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ არსებული საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნებას.

ქალაქების განაშენიანების გეგმები იმ ანგარიშით უნდა იქნას შედგენილი, რომ არ იწვევდეს ძველი სახლების გაუმართლებლად აღების აუცილებლობას, ვინაიდან რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობის დროს ეს მიუტევებელი ფუფუნება იქნებოდა.

საბინაო მშენებლობასთან ერთად მიმდინარე წელს განხორციელდება საქალაქო კომუნალური მეურნეობის გაფართოების სამუშაოები. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაგრძელდება წყალსადენების, კანალიზაციის, აბანოებისა და სხვა კომუნალური საწარმოების მშენებლობა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

მიმდინარე წელს სერიოზული ყურადღება ექცევა ტრანსპორტის და საგზაო მეურნეობის განვითარების საქმეს, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის მოცულობა გათვალისწინებულია 10 მილიონი ტონის რაოდენობით, ანუ ზრდა შეადგენს 37 პროცენტს, ხოლო ტვირთბრუნვა — 145 მილიონი ტონა კილომეტრის რაოდენობით, ანუ 24,6 პროცენტით მეტი. ამასთან მატულობს ყველა ძირითადი საექსპლოატაციო მაჩვენებელი.

საავტომობილო გზების მშენებლობის, შენახვისა და რემონტის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ბევრი ადგილობრივი გზა უყურადღებოდ არის მიტოვებული, მათზე მოძრაობა შეუძლებელია. რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მაგისტრალების მოვლას, რეკონსტრუქციას და გაუმჯობესებას საკმაო ყურადღება არ ექცევა.

1957 წელს ნავარაუდევია დაიხარჯოს საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების რემონტსა და შენახვაზე 126,18 მილიონი მანეთი, აქედან კაპიტალურ რემონტზე — 86,89 მილიონი მანეთი.

ნავარაუდევია 246,0 კილომეტრი მაგარსაბურავიანი გზებისა და 1.300 გრძივი მეტრი ხიდების კაპიტალური რემონტი.

მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების გაუმჯობესება ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ყველა რაიონის ცენტრი გაუმჯობესებული შავი გზებით დაუკავშირდეს მაგისტრალურ გზებს. უნდა დაჩქარდეს მდინარე ალაზნის, აბაშის, თვალთხვის და სხვა დაწყებული ხიდების დამთავრება. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესებას.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის 1957 წლის გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები. კერძოდ, გათვალისწინებულია სატელეფონო კავშირის შემდგომი ზრდა, სოფლად 56 ათასი მიმღები რადიოსატრანსლაციო წერტილის დადგმა. მიმდინარე წელს განზრახულია განხორციელდეს ღონისძიებანი სატელევიზიო გადაცემათა სასტუდიო კომპლექსის მშენებლობისათვის და სხვ.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

ამხანაგო დეპუტატებო!

სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს ხალხის კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა. ამ სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს ძირითადად ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გაშლას და მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა მიმდინარე წელს მიაღწევს 4.184-ს. რესპუბლიკის დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში ისწავლის 667,2 ათასი კაცი ნაცვლად 645,4 ათასი კაცისა, რაც 1956 წელს იყო.

მიმდინარე წელს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, აგრეთვე მოზრდილთა სკოლებში ისწავლის 29.454 კაცი. 1957 წელს ნავარაუდევია სკოლა-ინტერნატების ქსელის შემდგომი გაშლა იმ ანგარიშით, რომ სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა რიცხვი აყვანილ იქნას 1.738 კაცამდე.

უნდა მივაღწიოთ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის და მეორეწლიანობის შემცირებას, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახალხო განათლების ორგანოებმა. ეს შემცირება მიღწეულ უნდა იქნას, უმთავრესად, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებით.

რესპუბლიკური სამინისტროების უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებიდან 1957 წელს გამოშვებული იქნება 4.561 სპეციალისტი, ანუ მათი გამოშვება 1956 წელთან შედარებით გადიდდება 15,5 პროცენტით.

მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ნავარაუდევია 1957 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაშლა. გადიდდება ყველა ტიპის მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი. ამასთან, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, გათვალისწინებულია გაიშალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი რესპუბლიკის საზღვრისპირა და მთიან რაიონებში. გეგმა ითვალისწინებს კინოდანადგარების რიცხვის გადიდებას ქალაქებსა და სოფელ ადგილებში.

განხორციელდება ღონისძიებანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

გათვალისწინებულია გადიდდეს საავადმყოფო საწოლების რიცხვი 1.397 ერთეულით. უნდა აღინიშნოს, რომ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის ყოველწლიური გაფართოების მიუხედავად, რესპუბლიკის მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი საავადმყოფო საწოლებით.

საცალო საქონელბრუნვის 1957 წლის გეგმა (ცეკავშირის საკომისიო ვაჭრობის ჩაუთვლელად) წარმოდგენილია 8.900 მილიონი მანეთის რაოდენობით, ანუ ზრდა შეადგენს 6,1 პროცენტს.

მიმდინარე წელს ჩვენი მრეწველობის წარმატებით მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საშუალებას მოგვცემს მივყიდოთ მოსახლეობას მისთვის საჭირო უფრო მეტი საქონელი. მაგალითად, პური და ფქვილი გაიყიდება, 1956 წელთან შედარებით, 23,5 პროცენტით მეტი, ბურღული — 26,2 პროცენტით, თევზი — 19,3 პროცენტით, მაკარონის ნაწარმი — 14,7 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმელი — 23,5 პროცენტით, სამკერვალო ნაწარმი — 6 პროცენტით მეტი და ა. შ.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია უფრო სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიც არის შაქარი, ხორცი, ერბო-კარაქი, ყველი, ძეხვის ნაწარმი და სხვა სასურსათო საქონელი.

ნავარაუდევია აგრეთვე მიეყიდოს მოსახლეობას მეტი სამრეწველო საქონელი, მათ შორის საკერავი მანქანები, საყოფაცხოვრებო მაცივრები, სარეცხი მანქანები, მოტოციკლები, რადიომიმღებები და ტელევიზორები, რომლებზეც მოთხოვნილება ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება.

სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის დამატებითი რესურსების გამონახვას, რასაც სამინისტროებმა და უწყებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. ვაჭრობის მუშაკებმა უკეთ უნდა შეისწავლონ მოსახლეობის მოთხოვნილება სხვადასხვა საქონელზე, უფრო სწორად დაანაწილონ ფონდები, გააუმჯობესონ მომხმარებელთა კულტურული მომსახურება და უზრუნველყონ საქონელბრუნვის დაწესებული გეგმების შესრულება.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო!

განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმით მთელი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად გათვალისწინებულია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით 1956 წელთან შედარებით იზრდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 5,7 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში 4,2 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 6,1 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებების მნიშვნელოვანი ზრდა გათვალისწინებულია საბინაო მშენებლობაში. საცხოვრებელი ფართობის გადაცემა საექსპლოატაციოდ 1957 წელს, 1956 წელთან შედარებით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იზრდება 3,3-ჯერ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 4,5-ჯერ.

დასახულია აგრეთვე ღონისძიებები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების დარგების შემდგომი ზრდისათვის.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო!

განუხრელად აბორციელებენ რა ლენინურ ერთვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებათა გაფართოებისაკენ. ეს ღონისძიებანი წარმოშობილია თვით ცხოვრების მიერ და წარმოადგენენ სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერ ეტაპს, რაც გამოწვეულია მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკის, კულტურისა და ეროვნული კადრების მომზადების დიდი წარმატებებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლამ გადაგვშალა ფართო შესაძლებლობანი ადგილობრივი ინიციატივის გამოვლინებისა და შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის.

რესპუბლიკის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოყენებულ იქნას მინიჭებული უფლება ბიუჯეტის შესრულებისას დამატებით გამოვლინებული და მიღებული შემოსავლის განაწილებისა, რათა იგი მოხმარდეს საბინაო, კომუნალური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაფინანსებას.

პარტიას და მთავრობას განზრახვა აქვთ მომავალშიც განუხრელად აიღონ გეზი სახალხო მეურნეობის მართვის საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისაკენ იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას მეტისმეტი ცენტრალიზაცია ამ დარგში და გაუმჯობესდეს ოპერატიული ხელმძღვანელობა.

სამეურნეო მშენებლობის საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების საქმეში ახალ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც პლენუმმა დასახა, შეესაბამება სახალხო მეურნეობის ამოცანებსა და მოთხოვნებს კომუნისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე. ეს სტრუქტურა გულისხმობს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის განხორციელებას ძირითადი ეკონომიური რაიონების მიხედვით, რაც სამეურნეო ხელმძღვანელობას მიუახლოებს წარმოებას, სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებს, გახდის მას უფრო კონკრეტულსა და ოპერატიულს, აღმოფხვრის სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისადმი უწყებრივ მიდგომას, საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ მეურნეობის მართვა-გამგეობისათვის მშრომელთა კიდევ უფრო ფართო მასები.

ამრიგად, მრეწველობისა და მშენებლობის ოპერატიული მართვის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნება ადგილებზე, რესპუბლიკებსა და ოლქებში, რაც გაძლიერებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების პასუხისმგებლობას.

ღონისძიებანი, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, ხელს შეუწყობენ მომძმე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას და ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა, რომლის განხილვას თქვენ ახლა იწყებთ, თვალსაჩინოდ მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ზრდას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდ შესაძლებლობებს. მასში ნათლად მოჩანს პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა საქართველოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის. სწორედ ამიტომ ჰპოვებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის 1957 წლის გეგმა მთელი ქართველი ხალხის სრულ მოწონებასა და მხარდაჭერას.

ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი და აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც 1956 წელს გვქონდა სამეურნეო მშენებლობაში, უფრო სრულად გამოვიყენოთ წარმოების ზრდის დაუშრეტელი რეზერვები 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საბჭოთა ქვეყანა, შეიარაღებული პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ახალი აღმავლობის გზაზეა და უდიდესი მიღწევებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ყველგან — ქარხნებსა თუ ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში გამლილია სოციალისტური შეჯიბრება ამ შესანიშნავი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, ჩაებნენ რა ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის — მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმას, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა

19 მარტს თბილისში დაიწყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა.

ბევრი მნახველი შეიკრიბა სურათების გალერიაში, სადაც გაიხსნა სამხრეთ ოსეთის სახვითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ უ. ჯაფარიძემ. სტუმრებს მიესალმნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ი. ვეფხვაძე, გ. ბუხნიკაშვილი, მხატვარი თ. თავაძე, სამხრეთ ოსეთის მხატვართა სახელით გამოვიდა ვ. ქოქოევი.

ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურისა და გამოყენებითი ხელოვნების 250-ზე მეტი ნაწარმოები მკაფიოდ მოწმობს სამხრეთ ოსეთის ყალმიხა და საჭრიხის ოსტატთა მიღწევებს. ყურადღებას იპყრობენ ბ. სანაკოევის ნახატები „მომავალი", „სიჭაბუკე", მ. ტუგანოვისა — „ხაძოვარზე", ს. გადიევისა — სამხრეთ ოსეთის სახალხო მხატვრის მ. ტუგანოვის პორტრეტი და სხვ. სკულპტურულ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ პლიევის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც შეასრულა ვ. ქოჭოევმა, პარტიზანის ფიგურა — ვ. ქელეხსაევის ნამუშევარი და სხვ.

* * *

საღამოს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრმა უჩვენა დრამატურგ ვ. გაგლოევის დრამა „ზალინა".

სპექტაკლის დაწყებამდე სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი. სტალინირის თეატრის კოლექტივის სახელით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მამიევი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა თბილისის საზოგადოებრიობას მეგობრული მიღებისათვის, ილაპარაკა ქართველთა და ოსთა მრავალსაუკუნოვან ძმობაზე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე, რომელმაც ერთიან ოჯახად დარაზმა ყველა საბჭოთა ადამიანი.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. პ. მჟავანაძე, ვ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. გ. სანაკოევი.

* * *

20 მარტს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა პროზის სექციის სხდომა სამხრეთ ოსეთის წამყვან პროზაიკოსთა მონაწილეობით.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა დ. შენგელაიამ, რომელიც მიესალმა სამხრეთ ოსეთის მწერლებს.

სხდომაზე განხილულ იქნა ოსი მწერლების კ. ხეთაგუროვის, მ. ცაგარაევის, დ. ჯიოევის, თ. ბესაევის, თ. იფხიევის, ს. გადიევის, ს. კულაევის, ც. გადიევის, ე. ბეკოევის, რ. ჩოჩიევის ნაწარმოებები.

სიტყვებით გამოვიდნენ ა. ბელიაშვილი, ა. გეწაძე, დ. მამსიროვი, ვ. გელაშვილი, გ. შატბერაშვილი, ა. ჯაბიევი, დ. ჯიოევი. ოს მწერლებს სსრკ მწერალთა კავშირის სახელით მიესალმა ი. შერვინსკი.

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო. (საქდესი).

დ ღ ი ს

დღეს, 21 მარტს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის ქართული კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს გ. პლიევის პიესას „ჩერმენს" (თარგმანი ოსურიდან გიორგი ბესტაევისა).

დღეს 2 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით გაიმართება დრამატურგთა სექციის სხდომა, რომელზეც განხილული იქნება ოსი დრამატურგების ნაწარმოებები.

დღეს საღამოს 8 საათზე რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი გამართავს კონცერტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის.

საღამოს 8 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყობა ოსი მწერლების და თბილისელ მკითხველების შეხვედრა. საღამოს მეორე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივები.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის — 3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-51-65, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

2

УЦ 00781

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.